შავიზღვისპირა ფუნქციური რეგიონი, მისი მიზიდულობის ცენტრები და კონკურენტული უპირატესობები

ავტორები:

ელენა დარჯანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იოსებ სალუქვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით სიჭინავა, CRRC-საქართველო

განვრცობილი აბსტრაქტი

მდგრადი ეკონომიკური და ურბანული განვითარებისთვის სივრცით მიდგომებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის გატარება სუბეროვნული დონის ტერიტორიულ ერთეულებზე ყურადღების გამახვილებას მოითხოვს. საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონი ერთ-ერთი ასეთი ერთეულია. ის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის მხარეების ტერიტორიას მოიცავს. იმის გამო, რომ აფხაზეთი ამჟამად რუსეთის ფედერაციის მიერაა ოკუპირებული, კვლევა ჩამოთვლილიდან მხოლოდ სამ ტერიტორიულ ერთეულზე ჩატარდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, დასახელებულ არეალში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ქალაქების ეკონომიკურმა სტრუქტურამ უდიდესი ცვლილებები განიცადა - მათ უმეტესობაში, ეკონომიკის ძველი სექტორების საქმიანობა ან შეწყდა, ან - მინიმუმამდე დავიდა. ამასთან, თითქმის არ გამოძებნილა გაუმჯობესებისკენ მიმართული ალტერნატივები. ამ სიტუაციამ ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე, ბათუმის გამოკლებით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლებაც გამოიწვია. ამასთან, სახეზე დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, ან - ეკონომიკური თვალსაზრისით, არასათანადოდ აქტიურია, აქვს დაბალი შემოსავალი და, შესაბამისად - ცხოვრების არასახარბიელო ხარისხი. აქედან გამომდინარე, პოზიტიური ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, ქალაქების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც თავისთავად გულისხმობს ეკონომიკის პერსპექტიული დარგების გამოყოფას და მათ ზრდაზე მუშაობას.

გამოყენებითი კვლევის მთავარ მიზანს შავიზღვისპირა ფუნქციურ რეგიონში არსებული მიზიდულობის ცენტრებისთვის კონკურენტული უპირატესობის იდენტიფიცირება და დახასიათება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ის სამ ძირითად კითხვას პასუხობს:

- რა გეოგრაფიული არეალი უნდა განისაზღვროს, როგორც შავი ზღვისპირა რეგიონი?
- როგორია განსახლების იერარქია რეგიონში და რომელი პუნქტები წარმოადგენენ მიზიდულობის მთავარ ცენტრებს?
- რომელი დარგები წარმოადგენენ ამ ცენტრებისთვის და მთლიანად რეგიონისთვის კონკურენტულ უპირატესობას და რატომ?

კვლევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და CRRC-საქართველოს მიერ 2018 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში. ის, ძირითადად გეო-სივრცული ანალიზისა და დელფის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა.

პროექტის უმნიშვნელოვანეს დასკვნად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ **ასეთი რეგიონის ჩამოყალიბების იდეა ეჭვქვეშ არ დაუყენებია კვლევაში მონაწილე არცერთ ექსპერტს**. თუმცა, კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ამ ეტაპზე, შავიზღვისპირა ფუნქციური რეგიონი ჩამოყალიბების პროცესშია, რადგანაც მასში შემავალ ერთეულებს შორის კავშირები - რეგიონის განმსაზღვრელი შიდა კავშირები - ჯერ კიდევ მყიფე და განუვითარებელია.